საქართველოს მუშარცხენე კომ.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადებათა ფასი
1 გვ. 20 კპ. ჩერვონ. ცოცხარული
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 615 ოთხშაბათი, ნოემბრის 7, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

## საერთაშორისო პროლეტარიატის ლოზუნგები ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავისათვის:

6 წლის წინად ჩვენ ჩამოვყარეთ მემამულენი და კაპიტალისტები. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლების მე-6 წლის თავს!

6 წლის წინად დავამყარეთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება,—გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების მე-6 წლის თავს!

6 წლის წინად დავამსხვრიეთ ჩვენ ეროვნული ჩაგვრის ბორკილები,—გაუმარჯოს ერთა განთავისუფლების 6 წლის თავს!

დასავლეთის კაპიტალისტები ევროპას ომით ემუქრებიან,—ყველა ქვეყნების მშრომელნი მათ სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ!

მუშებო და გლეხებო! გასწიეთ კაპიტალისტთა ქვენა ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად და მშვიდობიანობის დასაცავად!

სასტიკი წინააღმდეგობა—მშვიდობიანობის დამრღვეველთ!

მუშათა დიქტატურა—ერთად-ერთი ხსნა არის ევროპისა.

მემამულეთა და კაპიტალისტთა კავშირის წინააღმდეგ—დიდი კავშირი მუშებისა და გლეხებისა.

მუშური გერმანეთი და ჩვენი მუშურ-გლეხური კავშირი—მშვიდობიანობისა და შრომის საფუძველია.

გერმანეთის ორთქლის ჩაქუჩი და საბჭოთა პური დაამარცხებენ მთელს ქვეყანას.

გზა, ჩვენს გლეხურს პურს გერმანეთის მანქანაზედ გადასაცვლელად!

გერმანეთის რევოლიუციის დამარცხება მიგვიყვანს ჩვენი გლეხისაგან მეფის ვალების გადახდასთან,—გაუმარჯოს გერმანეთის რევოლიუციას!

თეთრი გერმანეთის კავშირი მეფის გენერლებთან თან მოიტანს თავისუფალი გლეხის სიკვდილს და მუშისთვის ბორკილებს.

გერმანეთის გამარცვას მოჰყვება ჩვენი შრომის კავშირის გამარცვა.—მზად იყავით მედამ!

სიკვდილი ფაშისტურ ჯალათებს, თეთრ გენერლებს და მეფის ლაქიებს!

ჩვენი რესპუბლიკის ერთა მშური კავშირი—მტკიცე საფუძველია კაპიტალისტურ მძარცველების წინააღმდეგ.

მუშათა და გლეხთა კავშირი—საფუძველია ჩვენი გამარჯვებისა.

ჩვენი მლიერება ჩვენს მეურნეობაშია—გააუმჯობესეთ იგი დაუღალავად!

თუ გსურს მშვიდობიანობა—გააუმჯობესე მეურნეობა, დაეხმარე გლეხს, გამოიჩინე სიყვარული და მზრუნველობა ჩვენი წითელი არმიისა და წითელი ფლოტისადმი.

გაუმარჯოს წითელ დირექტორებსა და წითელ აგრონომებს—ჩვენი სახალხო მეურნეობის იმედს!

გზა ჩვენს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას—მას თან მოაქვს ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალი!

წითელი არმია და წითელი ფლოტი—ჩვენი ხმალი და ფარია. ეჩქარეთ მის დასახმარებლად!

შეოკრბით ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელის და დენიკინსა, კოლჩაკსა, ვრანგელსა და იუდენიჩზე გამარჯვების მომხიჭებელ—რ. კ. პ. გარშემო!

მთელი ქვეყნის პროლეტარებო! დადექით კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

## ოქტომბრის რევოლიუცია და კომპარტია

დღეს ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავია, ექვსი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა დაამხეს ძველი ცარიზმის სამეფო და მის ნანგრევებზე ააგეს მუშებისა და გლეხების სახელმწიფო,—საბჭოთა. მუშათა და გლეხთა დიქტატურის განმტკიცებით რუსეთში დაიწყო ახალი ღირსშესანიშნავი ეპოქა მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში. ოქტომბრის აქტით ორი მსოფლიო, ორი კაცობრიობა დაუპირისპირდა ერთი მეორეს: შრომა და კაპიტალი, სოციალიზმი და კაპიტალიზმი, რევოლიუცია და იმპერიალიზმი.

საერთაშორისო ომმა იმდენად დაშალა მსოფლიო მეურნეობის საფუძვლები, ისეთი ანარქია გაამეფა მთელს კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომ იქედან გამოსვლა და მშვიდობიანობის აღდგენა შეუძლებელი შეიქმნა ძველი კაპიტალისტური მეთოდით. იმპერიალისტურმა პოლიტიკამ და კაპიტალიზმის გეგმებმა მსოფლიო გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია. დარღვევა კაპიტალიზმის კედლებისა, მოსპობა იმპერიალისტური პოლიტიკისა და განმტკიცება ახალი სოციალისტური მეურნეობის—აი რა შეადგენდა და როგორი გზით იყო შესაძლებელი ხსნა მსოფლიოსი შექმნილ მდგომარეობიდან.

საერთაშორისო ომის—სამოქალაქო ომად გადაქცევა, ამ ლოზუნგით გამოვიდა რუსეთის კომუნისტური პარტია ომის დაწყების პირველ დღეებიდანვე და მოითხოვა სოციალური რევოლიუციის გატარება. მთელი რიგი მემარჯვენე სოციალისტებისა წინააღუდგა ამ პოლიტიკას და პროლეტარიატს მოუწოდა თავიანთ ბურჟუაზიულ მთავრობათა მხარის დაჭერა.

მაგრამ ისტორიულმა მიმდინარეობამ თავისი გაიტანა და ჯერ დიდ-ტანიან რუსეთში და შემდეგ კი მთელს მსოფლიოში სამოქალაქო ომის ქარტეხილმა გადაიარა; დღეს მთელი კაცობრიობა საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში იმყოფება და პროლეტარიატის მოწინავე რაზმები თავდადებით იბრძვიან ძალა-უფლების ხელში ასაღებად; სახელმწიფო აპარატის დასაპყრობად და სოციალისტური პოლიტიკის გასატარებლად.

რუსეთის რევოლიუციით დაიწყო ერა ახალი სოციალისტური რევოლიუციისა! შეიქმნა ახალი პერიოდი მთელს მსოფლიო ისტორიაში. ჯერ კიდევ 1902 წელს კაუცკი წერილში „რევოლიუცია და სლავიანები“ ამბობდა,—რომ მსოფლიო რევოლიუციის ცენტრად გადაიქცევა რუსეთიო. მაგრამ როდესაც მოსკოვმა პირველი ადგილი მოიპოვა და რევოლიუციონური მშრომელი ხალხი მოძრაობას ძოექცა სათავეში. კ. კაუცკიმ მენშევიკებთან ერთად ზურგი შეაქციეს მოსკოვს და მის საწინააღმდეგო გზას დაადგენ.

მოხუცი კაუცკი მთელი წლების განმავლობაში წინასწარმეტყველებდა საბჭოთა ხელისუფლების დაცემასა და ბოლშევიზმის გაკოტრებას. განვლო ექვსმა წელმა და საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია თავისი გამარჯვების 6 წლის თავს დღესასწაულობს, ხოლო კაუცკის პარტია იდეიურად გაკოტრებული და პოლიტიკურად სასტიკად დამარცხებული, საშინელი შიშით შეპყრობილი შესცქერის თავის მომავალსა და იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მისი პოლიტიკით გერმანეთში.

რამ გამოიწვია რუსეთის რევოლიუციის ასეთი ბრწყინვალედ გამარჯვება, საბჭოთა ხელისუფლების ასეთი განმტკიცება?—ერთ ერთი აუცილებელი და უდიდესი როლი ამ შემთხვევაში ეკუთვნის კომპარტიასა და მის სწორს პოლიტიკას.

კომპარტიის ორგანიზაციულმა ნიჭმა, მისმა სალმა და მიზანშეწონილმა პოლიტიკამ განსაზღვრულ პერიოდებში, მოქნილმა ტაქტიკამ გამოიყვანა რუსეთის რევოლიუცია გამარჯვების გზაზე და მოუპოვა მას ბრწყინვალე მომავალი. კომპარტია შეიქმნა ტვინი და გული რუსეთის რევოლიუციის...

დღეს 6 წლის დღესასწაული არის არა მარტო ოქტომბრის რევოლიუციისა, არამედ კომპარტიის გამარჯვებისა და მისი ბრწყინვალე მომავლის. კომპარტიამ დაიპყრო მთელი მსოფლიო მშრომელი მასები და თავისი გავლენის ქვეშ დააყენა საუკეთესო რევოლიუციონური ავანგარდები. მისი ხელმძღვანელობითა და გეგმებით სწარმოებს დღეს მთელის მსოფლიო მუშათა მოძრაობა და რევოლიუციონური აქტი.

გამარჯვება კომპარტიისა, ეს არის გამარჯვება მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისა; მისი დამარცხება სოციალიზმის დამარცხებას უდრის.

ამიტომ ყოველმა გულწრფელმა რევოლიუციონერმა ხმა მაღლა უნდა განაცხადოს:

**გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციასა, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს მთელს მსოფლიოში,**

**გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალსა, მთელი მსოფლიო რევოლიუციის შტაბს.**

## მსოფლიო რევოლიუციის ბელადები



ამხ. ნ. ლენინი.



ამხ. ლ. ტროცკი.

## ოქტომბრის დღესასწაული

ექვსი წელიწადი შეუსრულდა ოქტომბრის რევოლიუციას. იგი უკვე ახლად ფეხადგმული ბავშვი აღარ არის. ოდნავ მომწიფდა, ჩამოყალიბდა და გარკვეული სახე მიიღო. მან უკვე ფეხი სავსებით აიდგა, თამამად და თავისუფლად მიდის თავის გზით. ძუძუმწოვარობის ხანაში ბევრი სენი და უბედურობა დაატყდა თავს და დაბადებისას პირველ შეხედვით ისეთ სუსტ და უძლურ არსებათ მოჩანდა, რომ მტერი აშკარად და ხმა მაღლა ხარობდა და ჯველივით დასსისინებდა: „უდროოდ ნაშობია, მახინჯი, სუსტი, ხან მოკლე... არ გაივლის ორი სამი თვე და სამარეს ჩაჰბარდებაო!“ ასე გაიძახდნენ მტრები, აკვნის ახლოს მყოფ მოყვარეთაც გული უკანკალებდა: „ვაი თუ ვერ გაუძლოს, ვაი თუ ძალა არ ეყოს“, და ზოგჯერ იმედიც ეკარგებოდათ. მხოლოდ თვით მის მშობელს, რომელმაც იგი შვა საშინელ ტანჯვა ვაებაში, იმ მშობელს, რომელსაც ისტორია ეწოდება, გული არ გასტეხია, დამშვიდებული, ალერსით შესცქეროდა თვის შობილს, დარწმუნებული, რომ იგი გაუძლებს და დასძლევს ყოველივეს, რაც კი წინ გადაეღობება, გაიზრდება, განვითარდება და გაამართლებს მშობლის იმედებს...

ექვსი წელიწადი ერთი წამია კაცობრიობის სიცოცხლეში, მაგრამ დღეს, როდესაც იგი ცხოვრება წუთებით იზომება, როდესაც ისტორიის გულისცემა ელვისებური სისწრაფით მიექანება წინ, ექვსი წელიწადი დიდი ხანაა. ნორჩი ბავშვი გაკაცებულ ჭაბუკად იქცა. მოყვართა გული გაახარა, მტრებს თვალი დაუყენა...

დღეს ვერავინ უკიჟინებს: „ისტორიის უკანონო შვილი ხარო!“ ვერვინ იტყვის: „ოქტომბრის რევოლიუცია უდროოდ ნაშობია და ამიტომ დღე გრძელი არ იქნებაო!“

დიახ, ვერავინ, და თუ ასეთი მოიძებნა სადმე, იგი ან ვერაფერს არჩევს და ვერაფერს ხედავს, ან და ჯიუტობის სენი იმდენად აქვს ძვალხორცში ჩამჯდარი, რომ თეთრიც დაანახო, მაინც შავს უწოდებს.

საქმე ის კი არაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა განმტკიცდა, რომ მან სძლია ყველა მოწინააღმდეგე, დათრგუნა ყველა მტერი. საქმე ის კი არაა, რომ დღეს ბოლშევიკებს უკავიათ ხელთ ქვეყნის საჭე. მომხდარა ხშირად ისტორიაში ისეთი ამბავი, რომ რომელიმე მტარვალს ძალაუფლება ხელთ უპყრია, გაუნადგურებია ყველა მოპირდაპირე და გაბატონებულა, მტარვალს თუ არა რომელიმე ჯგუფს მაინც. ვიმეორებ საქმე ეს კი არაა.

მაგარი ისაა, რომ გარდა ცხოვრების გარეგან ფორმების შეცვლისა და გარდაქმნისა, ოქტომბრის რევოლიუციამ სრულიად გარდაქმნა ფსიხიკა მათი, ვინც წარმოადგენს ცხოვრების ყოველგვარ ღირებულობის შემქნელ ძალას, ე. ი. მუშას და გლეხს, მშრომელ მასას დამეთანხმებით, რომ დღეს მუშის და გლეხის და საზოგადოდ მშრომელ მასის ფსიხიკა, სულიერი განწყობილება, მიუხედავად იმისა კომუნისტია იგი თუ არა, სულ სხვაა შედარებით ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანასთან.

და განა მარტო მუშის ან გლეხის ფსიხიკაში მოახდინა ასეთი გარდატეხა ოქტომბრის რევოლუციამ? არა, დააცქერდით ყოფილ გაბატონებულ კლასის ნარჩენებს, განა მათში კი არ მოხდა სულიერი განწყობილების გარდაქმნა გარდატეხა, დეე იგინი აშკარა ანუ ფარული მტრები იყვნენ ოქტომბრის რევოლიუციისა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათ ფსიხიკაში მაინც მოხდა გარდატეხა და დღეს იგინი სრულიად არ წააგავენ თვისი ფსიხიკით წინანდელ „ბატონებს“. დააცქერდით აგერ ფუფუნებაში და განცხრომაში აღზრდილი გუშინდელ „ქალბატონს“, რომელიც დღეს ზურგზე აკიდებულ კალათით მოდის ქუჩაში, „პროვიზია“ ბაზარში ნაყიდი მოაქვს. ნუ თუ ვერ ამჩნევთ რომ მის ფსიხი-

ქაში, სულიერ განწყობილებაში დიდი გარდატეხა მოხდა. გუშინ ეს „ქალბატონი“ თავს მოიკლავდა და ამას არ ჩაიდენდა და თუ თავისიანს ასეთ „როლში“ თვალს მოჰკრავდა, ჭკვაზე შემცდარი ეგონებოდა. მაგრამ დღეს ამისი არ რცხვენიან, არ თაკილობს და აშკარად, საჯაროდ შვრება ამას. ნებსით თუ უნებლიედ მოხდეს სხვა საკითხია, მაგრამ რომ ამას თან მოჰყვა ფსიქიური გარდატეხა— ეს ფაქტია.

უდიდესი მონაპოვარი ოქტობრის რევოლუციისა აი სწორედ ამ ფსიქიურ გარდაქმნაშია, რამე თუ სწორედ ეს ფსიქიური გარდაქმნა მოასწავებს ახალი ყოფა-ცხოვრების ფორმების შექმნას. დღეს ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ ახალ ყოფა-ცხოვრებაზე და ფაქტიურად კი უკვე ჩაეყარა ამას საფუძველი. და სწორედ ამაშია ოქტობრის რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვება, სწორედ ესაა შეუდრეკელი საფუძველი და უტყუარი თავდები მისი საბოლოო და გადამწყვეტი გამარჯვებისა.

უწინდელი გადატრიალებანი და უზურპატორ მტარვალთა გამარჯვებანი შეიძლება გარეგნულად სცვლიდნენ ცხოვრების პირობებს. მაგრამ არავითარ ფსიქიურ გარდატეხას არ ახდენდნენ და ამიტომ ხან მოკლე და ადვილად მოსასპობი იყვნენ, მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუცია არა მარტო იმით, რომ მან ძირიან ფესვიანად გარდაქმნა ეკონომიური და სოციალური ურთიერთობანი, არამედ ძირიან ფესვიანად გარდატეხა თვით ფსიხიკა ხალხისა. და ამიტომ იგი ისტორიის კანონიერი შვილი და მემკვიდრეა და როგორც ასეთი, გამძლე და დღეგძელია.

კომუნისტების უდიდესი ისტორიული დამსახურებაც იმაშია, რომ მათ ანგარიში გაუწიეს არა მარტო ობიექტიურ მხარეს, არამედ სავსებით გაითვალისწინეს და ჯეროვანად დააფასეს სუბიექტიურიც. ბევრს სიცილად არ ყოფნიდა აუარებელი უზარმაზარი პლაკატები, სადაც არ გინდა ტრაფარეტული წარწერები, აგიტატორთა ხროვები, რომელნიც ხშირად თუთიყუშივით ერთსა და იმავე ზეპირებულს გაიძახოდნენ, მიტინგები და კვლავ მიტინგები, სურათები ხშირად შეიძლება ტლანქი და სხვა. მაგრამ სწორედ ამ ვითომდა სასაცილო ამბებმა მოგვიტანეს უდიდესი შედეგი. სწორედ მათ მოახდინეს ეს ფსიქიური გარდატეხა. უწინ თუ ზოგს სიტყვა „ამხანაგო!“ დაცინვად ან და გინებათ მიაჩნდა, დღეს იმათვე „თქვენო ბრწყინვალებავ“, „კნიაზო“ და სხვა ეხამუშებათ და თუ ვინმემ ჩუმათ ესეთი „ტიტულით“ მიმართა, უკანასკნელი აქედ იქიდ მიიხედ მოიხედავს, ხომ არავინ გაიგონაო.

ეს წვრილმანი არ არის, ეს არის გამოსახულობა სწორედ იმ დიდი ფსიქიური გარდატეხისა, რომლის შესახებ ზევით მოგახსენეთ.

ასე მოხდა რუსეთში, ჩვენში და ყველგან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში.

მაგრამ მარტო ამ ფარგლებით არ ისაზღვრება ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი ალნიშნულ სფეროში.

ზოგიერთებთან მსოფლიო რევოლიუციის შესაძლებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ესეც სიცილად არ ჰყოფნით.

ბრძენნი „პოლიტიკოსები“ პირდაპირ გადაჭრით ამბობენ: „გერმანიაში კომუნიზმი შეუძლებელია!“ მორჩა და გათავდა. და უფრო შორსაც მიდიან: „განათლებულ და კულტუროსან სახელმწიფოში კომუნიზმი შეუძლებელია“—ო. რატომ? ბევრს გიმტკიცებს, ბევრს ლაპარაკობს ბრძენი პოლიტიკოსი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი ნალაპარაკევიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოდის: „არა მსურს და ამიტომ არ იქნებაო“...

დღეს გერმანიაში მომხდარი ამბები ასეთ პოლიტიკოსებს რა თქმა უნდა ფრთებს ააწევინებენ, მოგახალებენ: „აკი ვთქვი!“

აქ კვლავ უნდა მიუთითოთ იმ ფსიქოლოგიურ გარდაქმნისაკენ, რომლის შესახებ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. ვინც თვალყურს ადევნებს უცხო სახელმწიფოთა მუშათა დღევანდელ მოძრაობას, ვინც ობიექტიურად არკვევს უკანასკნელ ხანებში მუშათა გამოსვლებს, გაფიცვებს, რომელთაც ქრონიკული ხასიათი მიიღეს, ბულგარეთის აჯანყებას, თვით გერმანიაში მომხდარ ამბებს და რაც უფრო მაჩვენებელი და დამახასიათებელია აგრედ წოდებულ ანტანტის ამ ოთხი წლის მოქმედება ცხოვრებას, იგი დამეთანხმება, რომ ამ ფსიქოლოგიურ გარდატეხას იქაც უსათუოდ ადგილი აქვს დღევანდელი გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი ან იტალიელი მუშა ფსიქოლოგიურად ის აღარ არის, რაც უწინ იყო, და თუ ამ ოთხი წლის განმავლობაში ათჯერ მაინც არ ასტყდა ევროპის ომი, მიზეზი ამისა სწორედ ეს ფსიქოლოგიური გარდატეხაა. მითხარით რა მოუტანა პუანკარეს იარაღით შეჭრამ რეინლანდში, წყეული რეპარაციების საკითხი თუ უფრო არ გაართულა ამ ავაზაკურმა თავდასხმამ, ოდნავ-ც კი ვერ წასწია წინ. განა პუანკარე, თუ კი მას ძალა შესწევდეს და შეეძლოს, ამაზედ გაჩერდებოდა და არ განაგრძობდა იარაღით მოქმედებას, მაგრამ... ბოლოს და ბოლოს იგი იძულებული ხდება აშკარა პროვოკაციას მიმართოს აგრედ წოდებულ რეინლანდის სეპარატისტთა სახელით. რა უბორკავს ხელფეხს პუანკარეს თუ არა ფსიქოლოგიური გარდატეხა მუშათა და საზოგადოთ მშრომელ მასაში. დამისახელეთ რომელიმე სახელმწიფო ევროპაში, რომელსაც შეუძლიან ომის ატეხა დღეს. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ეკონომიური კრიზისები და საზოგადოთ უსახსრობა აკავებს მათ? გარწმუნებთ რომ ყველა ამას იშოვნიან. მაგრამ ვერ ბედავენ სწორედ მიტომ რომ მშრომელ მასებში მოხდა ერთნაირი ფსიქოლოგიური გარდატეხა და ამის მომხდენი სწორედ ოქტომბრის რევოლიუციაში უნდა ვეძიოთ. ესაა თავდები მსოფლიო რევოლიუციის დასაწყისისა და ესაა უდიდესი საბუთი ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის ზეიმობისათვის.

ი. გედევანიშვილი.



ამხ. გ. ზინოვიევი.

# ოქტომბრის რევოლიუცია და მუშათა კლასი

ევროპის მუშათა კლასი დღეს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული.

ამ ბრძოლამ უნდა გადასწყვიტოს არა მარტო მუშათა საკითხი, თვით გასათლებული ევროპის საკითხიც.

კითხვა 8 საათის სამუშაო დღის, მუშათა ზაზღვევის, შრომის დაცვის, ქალთა და მცირეწლოვანთა მფარველობის და სხვა ამისთანები დღეს ვეღარ იქცევენ თავისკენ მუშათა კლასის ყურადღებას და ბრძოლის მთავარი მიზანი პროლეტარიატის დიქტატურა გახდარა.

მსოფლიო ომმა ისე საფუძვლიანად შეარყია თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება, რომ მას აღარ შეუძლია ჩვეულებრივი წესით წარმოების აღდგენა და ქვეყნის მართვა-პატრონობა.

ბურჟუაზიის იდეოლოგები გამწარებული ეძებენ გამოსავალ გზას შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან და ამ ძებნაში, რა თქმა უნდა, კლასიურ ინტერესებს არ ივიწყებენ.

თითქოს იპოვეს კიდეც ეს გზა, რომელიც მუშათა კლასის ჩაგვრისა და დამორჩილებისკენ მიიმართება.

გერმანიის ნამდვილი ბატონ პატრონი სტინენსი და ძმანი მისნი მუშების ხარჯზე ფიქრობენ საფრანგეთის ვალების გადახდას, ფაბრიკა-ქარხნების აღდგენას, ომში გაფლანგულ სახელმწიფოებრივ სიმდიდრის ანაზღაურებას და კაპიტალისტების ჯიბეების ჯეროვანად გასქელებას.

სტინენსის გეგმის მიხედვით, რომელსაც სავსებით იზიარებს იქაური დღევანდელი ხელისუფლება. გერმანიამ 60 მილიარდი ოქროს მარკა უნდა აჰგლიჯოს ზურგზე ისედაც გაძვალტყავებულ გერმანიის პროლეტარიატს და საკუთარი მატარებლით ჩაუზიდოს პარიზის გაუმაძღარ კაპიტალისტებს.

ხოლო ამ მიზნისთვის კი აუცილებელია 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება, გაფიცვის თავისუფლების მოსპობა და სხვა ასეთები, რომლებიც ყოველთვის ხელს უშლიდა გერმანიის კაპიტალისტებს მუშების ყვლეფაში და მით უმეტეს ხელს შეუშლის დღეს, როდესაც გერმანიის პროლეტარიატისაგან მოითხოვენ არა მარტო მშობლიურ კაპიტალისტების გასუქებას, არამედ შორეულ, საფრანგეთის ვეშაპების გამოძღომასაც.

როცა კითხვა თვით ცხოვრებისაგან ასე მკაფიოდ და მარტივად არის დაყენებული, როდესაც გერმანიის ბურჟუაზია ასე ურცხვად, ასე უსინდისოდ მოითხოვს მუშათა კლასისაგან ჯერ არ ნახული მსხვერპლის გაღებას, როდესაც გერმანიის გაბატონებილი კლასი ასე წარბ-შეუხრელად ცდილობს ომში დამარცხების მთელი სიმძიმე მუშათა კლასს დააკისროს, იმ ომის, რომელნიც თვით ამ გაბატონებულმა კლასმა მოახვიეს თავს გერმანიის მშრომელ ხალხს, გერმანიის მუშას სხვა რაღა დარჩენია, თუ არა შეიარაღებული ბრძოლა მთელი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ, ამ წყობილების საბოლოოდ შესამუსრად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

და ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ გერმანიის პროლეტარიატი უკვე ჩაება ამ ბრძოლაში.

მისი გამარჯვება ამავე დროს გამარჯვებაა მსოფლიო პროლეტარიატის, ხოლო დამარცხებას კი გერმანიის საწელმწიფოს დაღუპვაც თან მოჰყვება.

გერმანია დღეს ევროპის ცენტრია არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ეკონომიურად და პოლიტიკურად.

ვინაიდან, იმისდამიხედვით, თუ როგორი იქნება გერმანიის მუშათა კლასის ბედი, გადაწყდება დანარჩენი ევროპის ყოფა-მდგომარეობაც.

თუ გერმანიის მუშათა კლასმა გაიმარჯვა და იქ აფრიალდა სოციალიზმის წითელი დროშა, საფრანგეთის მუშათა კლასი, ბევრიც რომ უნდოდეს, თავს ვეღარ შეიკავებს და ბრძოლას გამოუცხადებს საფრანგეთის კაპიტალისტებს.

დღეს თუ საფრანგეთის მუშათა კლასი შედარებით მშვიდათ არის და იმ რევოლიუცია არ ბობოქრობს, ეს იმიტომ რომ საფრანგეთი გამარჯვებული ქვეყანაა და საფრანგეთის კაპიტალისტები გერმანიიდან ანაგლეჯი სეპარაციით ახერხებენ თავიანთ მუშების დაკმაყოფილებას..

ხოლო როგორც კი გამარჯვებული გერმანიის მუშათა კლასი შესწყვეტს ამ ერთად ერთ წყაროს დენას, უმალვე ეკონომიური კრიზისი მოიცავს საფრანგეთის წარმოებას და იქაური კაპიტალისტები ეცდებიან ამ კრიზისის მთელი სიმძიმე მუშებს დააკისრონ.

თუ, წინააღმდეგ ჩვენი მოლოდინისა, გერმანიის ფაშისტებმა შესძლეს მუშათა მოძრაობის სისხლში ჩახრჩობა და მშრომელი ხალხის მონობის არტახებით გათანგვა, ეს მათი გამარჯვება იქნება დროული ხასიათის, რომელსაც სულ მალე კაპიტალიზმის დაღუპვა მოჰყვება, ვინაიდან ფაშიზმის გამარჯვება ჩვენ სხვაფრივ ვერ წარმოგვიდგენია თუ არა მუშათა კლასის გაჟლეტით, მისი ამოწყვეტით.

ხოლო ამოწყვეტილი მუშებს რა თქმა უნდა, ისინი ვერ გამოიყენებენ ვერც წარმოების აღსადგენად, ვერც საფრანგეთის ვალების გადასახდელად.

ყველაზე უფრო ზომიერი და თავდაჭერილი რევოლიუციონურ ბრძოლაში, ეს ინგლისის მუშათა კლასია. ინგლისის კაპიტალიზმის უმეტოქეო ბატონობამ მთელ მსოფლიოში და მდიდარმა ახალშენებმა საშუალება მისცეს ინგლისის კაპიტალისტებს მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების. ინგლისის მუშები ყოველთვის შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ, უფრო იყვნენ ნივთიერად უზრუნველყოფილნი, ვინემ დანარჩენ ევროპის მუშები. ამის გამო ინგლისის მუშათა კლასმა შეჰქმნა სულ სხვა გვარი ტრადიცია, სხვა გვარი ბრძოლის საშუალებები გამოიმუშავეს მათ და სოციალიზმი დაძისთვის ბრძოლა მაინცადამაინც ვერ მოსდიოდა ჰკუაში ინგლისელ მუშებს.

დღეს ინგლისშიაც სხვა გვარი მდგომარეობა შეიქმნა.

ინგლისის ახალშენები განმანთავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებენ დამპყრობელთა წინააღმდეგ და ინგლისის მთავრობა იძულებულია ახალშენებში აუარებელი შეიარაღებული ძალა იყოლიოს, რაიც აუარებელ სამხედრო ხარჯებს მოითხოვს.

ამერიკის კაპიტალი სასტიკ მეტოქეობას უწევს ინგლისის წარმოებას და ის თანდათან ჰკარგავს მსოფლიო ბაზარზე თავის გავლენას.

იწყება კრიზისი, უმუშევრობა.

მილიონობით უმუშევრები მოითხოვენ სამუშაოს, მაგრამ ამაოდ: მათი დაკმაყოფილება დაავადებულ კაპიტალისტურ წყობილებას აღარ შეუძლია.

ინგლისის მუშათა კლასი თანდათან იგნებს, რომ ძველი ბრძოლის მეთოდები მას დღეს აღარ გამოადგება და იწყებს ახალი საშუალებების, ახალი გზების ძებნას.

მან ეს გზა უნდა იპოვოს, უამისოდ ის დაიღუპება.

ეს გზა არის სოციალიზმის გზა, რომელსაც კიდეც დაადგა ინგლისის მუშათა კლასი.

იქ კითხვა მხოლოდ ასე დგას:

მშვიდობიანი, პარლამენტარული გზით სოციალიზმისაკენ, თუ ბრძოლის, რევოლიუციის გზით.

დამახასიათებელია ინგლისის მუშათა კლასისათვის ის მოვლენა, რომელსაც რამდენიმე თვის წინად ჰქონდა იქ ადგილი.

სოციალისტმა სნოუდენმა წინადადება შეიტანა თემთა პალატაში კაპიტალისტური წყობილების სოციალიზმით შეცვლის შესახებ.

რასაკვირველია, სნოუდენის წინადადება პალატამ უარყო და ამით მძლავრი მუჯლუგუნი წაჰკრა ინგლისის მუშათა კლასის შეგნებას.

თუ ერთი მხრით, კაპიტალისტური წყობილების უძლურება ქვეყნის გაჭირვებული მდგომარეობიდან უდაოა თვით ზომიერზე უზომიერეს სნოუდენისთვისაც კი; თუ მეორეს მხრივ, პალატა უარყოფს სნოუდენის მშვიდობიანი ხასიათის წინადადებას, ცხადია, კითხვა პარლამენტიდან ქუჩაში უნდა იქნას გადატანილი.

საამისოდ ინგლისის მუშათა კლასი, მისი მოწინავე ნაწილი ემზადება და ამის გარეშე არ არის ხსნა.

ერთი სიტყვით, მთელი ევროპის სივრცეზე მუშათა კლასი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია კაპიტალიზმის წინააღმდეგ ჩაბმული.

ისტორიას არ ახსოვს კლასთა ინტერესების ასე დაპირისპირება, კლასთა ბრძოლის ასეთი უკიდურესი გამომჟღავნება.

ევროპის მუშათა კლასმა უნდა აუცილებლად გაიმარჯვოს და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მსგავსად ხელთ იგდოს ძალა-უფლება, თავისი კლასის ინტერესების მიხედვით გადაახალისოს ევროპის დამყაყებული ცხოვრება, ანდა ევროპა უნდა სავსებით გამოეთხოვოს მსოფლიოს წინამძღოლის როლს და ის გადაიქცეს დაუსრულებელ შეხლა-შემოხლისა და ომების ასპარეზად.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს არ შეუძლია. რასაკვირველია, გულდამშვიდებით უცქიროს მთელ ევროპის სივრცეზე წარმოებულ ბრძოლის მიმდინარეობას.

ის მთელი თავისი შეგნებით, სულით, გულით, ევროპის მუშების მხარეზეა და ევროპის სახელმწიფოების მუშებსაც შეუძლიათ სრული იმედი იქონიონ საბჭოთა ქვეყნების მუშათა კლასის ძმური დახმარების.

საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი, რომელმაც ექვსი წელია რაც ხელთ იგდო ქვეყნის ბატონ-პატრონობა, რომელიც ძლევამოსილად მიექანება სოციალიზმისაკენ, ამ მუშათა კითხვის ერთად ერთი და საბოლოო გადაჭრისაკენ. ამავე დროს არის მსოფლიო მუშათა მოძრაობის მაგარი ხერხემალი, რომელმაც უნდა გადაიტანოს სხვა ქვეყნების მუშათა კლასის ყოველგვარი გასაჭირი და გამარჯვებული გამოიყვანოს ბრძოლის ცეცხლიდან.

და დღეს, დიდი რევოლიუციის, მუშათა კლასის პირველი გამარჯვების ექვსი წლის თავზე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუშები კიდევ უფრო ხალისით და იმედით ასწევენ მაღლა წითელ დროშებს, რათა მომავალი დღესასწაული იყოს მსოფლიო მუშათა კლასის გამარჯვების დღესასწაული.

ერ. ტოროტაძე.

# ჩვენ და ოქტომბერი.

(ძველი გაზეთებიდან)

ჩვენ გვაბრალებდნენ, რომ 1921 წელში ჩვენ ვუღალატეთ ჩვენ მოვალეობას, „დამპყრობელთა წინაშე შიშით „გავწითლდით“ და ხელი გავუწოდეთ მათ კონტაქტისათვის. დღეს ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზედ და ჩვენი „გაწითლების“ მესამე წელს ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ ძველ გაზეთებს და გავიგოთ, რანი ვიყავით ჩვენ, მემარცხენე სოც.-ფედერალისტები, ამ ექვსი წლის წინად თვით ოქტომბრამდე და ვის ვუჭერდით მხარს, კოალიციონურ მთავრობას, თუ საბჭოებს.

გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ 1917 წლის აგვისტოს 17-ის ნომერში (№ 422) მოთავსებულია „ინტერნაციონალისტის“ (იგივე ომეგა) წერილი „უდანაშაულოდ დასჯილნი“, რომელიც ეხება 3—5 ივლისის აჯანყებას პეტროგრადში. აი რა სწერია იქ: „ჩამოვიდა თუ არა რუსეთში ლენინი, ეს გამოჩენილი ბელადი ს. დემოკრატიის მარცხენა ფრთისა, მაშინვე ეს პარტია დრომოჭმულ, ჩამორჩენილ და ძირმომპალ პარტიად გამოაცხადა და აშმორებული ლეში უწოდა მას.“ ამ გამანადგურებელმა და შეურაცხმყოფელმა კრიტიკამ სასტიკი პროტესტები გამოიწვია და ლენინს დევნა დაუწყეს. „ლენინი კი მაინც მენშევიკების კრიტიკას განაგრძობდა და მოითხოვდა პარტიის სრულ გარდაქმნას, მის განახლებას“.

„მენშევიკების პარტია კაი ხანია გარდაიქცა უბრალო „ობივატელების“ მყვირალა პარტიად და ასეთი რევოლიუციონური სინდისის მხილება შეურაცხყოფას აყენებდა მის „მეშჩანურ“ შეგნებას.

ლენინი გადაეშვა პროლეტარულ მასაში და იქ ჰპოვა შესაფერი ნიადაგი. „პეტროგრადის მუშებმა პირველმა ააფრიალეს თავისუფლების დროშა, პირველნი განოვიდნენ ქუჩაში და იერიში მიიტანეს თვითმპყრობელობაზედ, პირველმა დაღვარეს სისხლი სამშობლოს თავისუფლებისათვის, ჩაუყარეს საფუძვლები მას და ხედავდნენ, რომ რევოლიუციის ხელმძღვანელად ბურჟუაზია უნდა გამხდარიყო, მუშების მიერ მოპოებულ ძალა უფლებას ბურჟუაზია ეპატრონებოდა. ამ უსამართლობაზედ

ახულდგმულებდა საქ. მემარც. სოც.-ფედ. სარ. პარტიას, რომ საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე გულწრფელად მუშაობს საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განსამტკიცებლად, რომელშიაც ხედავს ერისა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობას.

**ჩვენ გვიყვარს მუშურ-გლეხური საქართველო საბჭოთა სისტემაზე აგებული სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან თავისუფალ კავშირით შეკავშირებული თანასწორის უფლებით, მაგრამ გვეჯავრება ისეთი საქართველო, სადაც თვით მუშა და გლეხი არ იქნება თავის ბედის გამომჭედი**

ასეთი თავისუფლება შეუძლიან მოგვანიჭოს ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებამ, რადგან მან ისეთ საფუძვლიან წეს-წყობილებას ჩაუყარა საძირკველი, რომ ყველა ერს, პატარა იქნება ის თუ დიდი თავისუფლათ შეუძლიან ისარგებლოს და ამავე საფუძვლებზე მართოს თავის მუშურ-გლეხური რესპუბლიკა.

მართალია ჩვენი პარტია მცირე არის კომპარტიასთან შედარებით, მაგრამ მან მაინც პირნათლად შეასრულა თავის მოვალეობა და იმ დროს, როდესაც წითელი ჯარი საქართველოს მიწა-წყალზე შემოვიდა მენშევიკურ მთავრობის ჩამოსაგდებად ამ გარემოებამ ბევრი მუშა და გლეხი დააფთხო და ჩასთვალა **ისე როგორც დამპყრობელი ძველი ნიკოლოზის ხალდათი.**

ეს არც გასაკვირელი იყო. საქართველოს მუშები და გლეხები კმაყოფილნი არ იყვნენ მენშევიკურ პარტიის და დღითი დღე წინააღმდეგობა იბადებოდა მათ გულში, მაგრამ ეროვნულ ჩაგვრას მაინც სულ ვერ შეურიგდებოდნენ და ეგონათ წითელი ჯარის აქ შემოსვლას საქართველოს დაპყრობა და ეროვნული მონობა მოჰყვებოდა, სადაც კვლავ სიმუნჯეს და ჩვენი ენის მასხარათ აგდებას ექნებოდა ადგილი.

მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ რუსის წითელი ჯარი შემოდიოდა და შემოვიდა იმიტომ კი არა, რომ საქართველო დაეპყრო, არამედ იმისთვის, რომ მართლა გაენთავისუფლებინა ის ეროვნულად და ეხსნა იმ უცხო იმპერიალისტებისაგან, რომლითაც სათარეშო მოედნად გადააქციეს საქართველოს მიწა წყალი.

ყველა ეს გაიგო ჩვენმა მშრომელმა მასამ მემარც. სოც.-ფედ. პარტიის ჩაგონებით და ბევრი გზა-კვალ აბნეული მუშა და გლეხი ჩაება საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში და აქ სამი წლის განმავლობაში თან და თან მკვიდრი საძირკველი ეყრება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას საქართველოში.

დღევანდელმა ჩვენმა პარტიის მეორე ყრილობამ უნდა გადასინჯოს თავის ნამოქმედარი და იმსჯელოს იმაზე თუ რანაირი დამოკიდებულება იქონიოს კომპარტიასთან საერთო ფრონტის გასამაგრებლად.

იმედია აქაც წინდახედულებას გამოვიჩენთ გაბედულად ვიტყვით ყველაფერს და სწორედ იქით ქვენ წავალთ საითაც ხსნას ვხედავთ ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხის ბედნიერებისთვის.

ეს გზა არის ოქტომბრის რევოლიუცია და ამ რევოლიუციის გამარჯვება.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას მთელ მსოფლიოზე!

**გაუმარჯოს ერთა თავისუფალ კავშირს!**
**ხალამი ჩვენი პარტიის მეორე ყრილობას.**

**ასოთ-ამწყობი პ. ახალკაცი.**

# რევოლიუციონური ეპოქა და პოლიტიკური პარტიები

**4. აპოლიტიზმი და პასიობა.**

უკანასკნელ ფელეტონში აღვნიშნე თეორეტიული სხვაობის მომენტი ჩვენსა და კომპარტიას შორის. საკითხი დავსვი—საკმაოა თუ არა ეს პოლიტიკური განდგომისათვის? ეხლა გავარკვიოთ თუ როგორ ფორმებში შეიძლება მუშაობა, სად, ვისთან?

პარტია, როგორც კოლექტივი ამ საკითხს სწყვეტს კომპარტიასთან გაერთიანებით.

საკითხი ისმის იმ ელემენტების შესახებ, რომლებისთვის მარქსიზმის ძირითადი საფუძვლები არ არის მისაღები. მე ვფიქრობ ეს არ არის საკმაო პოლიტიკური განდგომისათვის.

პოლიტიკური სისტემა ბოლშევიკური მარქსიზმისა მთელს გარდამავალ პერიოდში ჩვენთვის მისაღები და სავალდებულოა. წმინდა თეორეტული საკითხების ირგვლივ ბრძოლის გაჩაღება დღეს, როდესაც საერთო საფრთხე და საშიშროებაა ჩვენს წინაშე შეუძლებელია.

მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელიც კომინტერნს უყენებდა მოთხოვნებს ავტონომიების შესახებ. დღეს კომინტერნი იმდენად არის ძლიერი, რამდენადაც იგი ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, რამდენადაც ცენტრალიზაციას ახდენს ძალებისას, რამდენადაც ერთს გარკვეულ გეგმას უმორჩილებს თავის რიგებს. კომინტერნს, რომ დაეშვა იდეოლოგიური სხვაობა და ორგანიზაციული ავტონომიები იგი უეჭველად ამით შეასუსტებდა თავის ფრონტს, დაქსაქსავდა თავის ძალებს. მომავალში კომინტერნი აუცილებლად დაუშვებს მეტს თავისუფლებას, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია.

ჩემთვის კიდევ ერთი ჭეშმარიტებაა უდავო. **სოციალიზმის დამყარება მხოლოდ მარქსისტული დროშით უნდა მოხდეს.** პოლიტიკაში ფაქტებ მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჭეშმარიტებას შპენგლერის ენით, რომ ვთქვათ, ფაქტია კი ის გარემოება, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას დაეპატრონა მარქსისტული სოციალისტური მიმართულება. მარქსიზმის დოქტრინა ყველა თავის ძირითად კონცეპციებში, სავსებით რომ დაშალო, ეს კიდევ არ კმარა იმისათვის, რომ მარქსიზმი გამოდენო მუშათა საერთაშორისო მოძრაობიდან. ამდენათვე, ვისაც ჭეშმარიტად სურს სოციალიზმისათვის ბრძოლა, იგი აუცილებლობის წინაშე სდგება —უნდა იმუშაოს მარქსისტულ პარტიაში ან მარქსისტულ პარტიასთან. სხვა გზა, სხვა გამოსავალი არ არის.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ მარქსიზმი გაყინული უმოძრავო და უცვლელი მოძღვრება არ არის. „ჩვენი თეორია დოგმატი კი არ არის, ევოლიუციონური პროცესის განმარტებაა“ ამბობდა ფრ. ენგელსი. („წერილები“ გვ. 216).

საჭიროა შევითვისოთ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ მარქსისტი ვალდებულია ანგარიშს უწევდეს ცოცხალ ცხოვრებას, **სინამდვილის ზუსტ** ფაქტებს და არ უნდა ებღაუჭებოდეს გუშინდელ დღის თეორიას, რომელიც როგორც ყველა თეორია, უკეთეს შემთხვევაში დასახავს მხოლოდ ძირითადს ხოგადს და **უახლოვდება** ცხოვრების სირთულის ამოწურვას“. ამბობს ამხ. ლენინი. („Письма о Тактике“ გვ. 6).

ეს მართალია. ბოლშევიკური მარქსიზმი ანტიპოდია სოციალ-დემოკრატიული მარქსიზმის. კიდევ მეტი, კომუნისტებიც და ჩვენც უნდა შევთანხმდეთ ერთ დებულებაში—„არ უნდა ვებღაუჭებოდეთ გუშინდელ დღის თეორიას“.

ამით არ მინდა იმის თქმა, რომ თეორია საჭირო არ იყოს. სრულიადაც არა. მაგრამ თუ მომენტის სიმწვავე და რევოლიუციონური ბრძოლის გადამწყვეტი ნაბიჯები მოითხოვს თეორეტიული დავის მეჩერებას, ამას უნდა დავემორჩილოთ.

თუ დღეს კომუნისტთა ლიდერებს შორის საკმაოდ არის უთანხმოება თეორიულ საკითხებში, ხვალ, ეს უთანხმოება კიდევ უფრო გაღრმავდება, მაგრამ ეს იქნება პარტიის პროგრესი და არა რეგრესი, აზრის სიახლე და არა დოგმატიკოსობა.

როზა ლუქსემბურგის სახელი საპატიო სახელია რევოლიუციონერისათვის, როზა ლუქსემბურგი თავის წიგნის დასასრულში სწერს:

„მარქსიზმში—რევოლიუციონური მსოფლმხედველობაა, რომელიც ყოველთვის უნდა იბრძოდეს ახალი მიღწევისათვის შემეცნების სფეროში, რასაც არაფერი არ ეზიზღება ისე, როგორც გაქვავება ერთხელ და სამუდამო ფორმებში, რომელიც დიდი შედეგებით იღებს ახალ ძალებს თვით კრიტიკის იდეურ ბრძოლიდან ისტორიულ ქარტეხილში. ამიტომ მე ვეთანხმები ლესინგს, რომელიც სწერს უმცროს რეიმარუსს „რა უნდა ვქმნათ! დეე, თვითოეული ლაპარაკობდეს იმას, რაც მიჩნია ჭეშმარიტებად, ხოლო თვით ჭეშმარიტება იქნება საკუთრება ღმერთისა“. Р. Люксембург. „Накопленве капитала“ (ანტი კრიტიკა გვ. 108).

მეშჩანურ აზრს ჰგონია, კომპარტიაში წარჩინებისა და გავლენებისათვის შეიძლება შეხვიდე. ეს შეცდომაა. მეტად დიდი სულელი უნდა იყო, რომ დღეს, ამ სოციალური კატაკლიზმის ეპოქაში, როდესაც ყოველ წუთს მოსალოდნელია იარაღის ხელში აღება ხელსაყრელი იყოს „ტყავის“ საკითხი კომპარტიის რიგებში ჩადგომა.

მართალია კომპარტიას ეტმასნება კარიერისტული ელემენტები, მაგრამ ეს ელემენტები მეტად ვიწროდ უყურებენ საკითხს. მათ წარმოდგენილი აქვს, რომ კომუნისტები გამარჯვებული ძალაა და ამდენათვე მათთან დაახლოვება, მათ რიგებში ჩადგომა სასარგებლოაო. ამ ელემენტების აზროვნების აპარატი იმდენათ მოშლილი აქვს, რომ არ იციან—რევოლიუციას ჯერ უმთავრესი პოზიციებიც არ დაუპყრია, ბრძოლა უფრო მეტი მაშტაბით, მეტი სიმწვავით და ტკივილებით შემდეგში უნდა გადავიხადოთ. მეშჩანურ პერსონალური თვალსაზრისით ათასჯერ სჯობია რეგისტრატორის როლი რომელიმე დეპარტამენტში, ვიდრე უმაღლესი პოსტი რევოლიუციონურ შემოქმედებაში. ასეთი მხედველობა რასაკვირველია ჩვენთვის უარყოფილია თავიდან ბოლომდე. ვინც პოლიტიკურ მუშაობას ხელს კიდებს და ესმის მისი მნიშვნელობა, მან ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ როგორც აღელვებულ ოკეანეში მეზღვაური უნდა ელოდეს ყოველ დღე დაღუპვას, პოლიტიკური მოღვაწეც ყოველ დღეს უნდა ელოდეს სიკვდილს, რადგან ცხოვრების ზღვა კიდევ უფრო ბობოქრობს, ვიდრე ოკეანეს ზვირთები.

დღეს ბრძოლაა საჭირო და თავდადებაა აუცილებელი. ვისაც შეუძლია, ამის ძალა შესწევს, მას ურჩიო, რომ იგი არ განზე განდგეს, არ დაიმალოს პოლიტიკურად არ ჩაეფლოს აპოლიტიზმისა და პასიობის მორევში, არამედ ბევრი რამ დათმოს და კომპარტიის რიგებში იმუშაოს.

მე ვისურვებდი, რომ ყოველი ჩემი თანამებრძოლი ჩამდგარიყოს კომპარტიის რიგებში თუ პარტიის წევრის სახით არა ერთგული მებრძოლის სახით მაინც, ხოლო ვინც იქ არ მივა, გამხდარიყოს არა აპოლიტიკური ელემენტი, არამედ აშკარა და პირწავარდნილი რეაქციონერი. რეაქციონერს ან დაამარცხებ, ან დაგამარცხებს. ყოველ შემთხვევაში ომი ბრძოლის არენაზე სჩანს, ხოლო აპოლიტიკური, პასიური პიროვნება რეაქციონერზედ უარესია. იგი აჩერებს რევოლიუციონურ ბრძოლას, ქმნის სოციალურ სტატიკას. ანელებს უკიდურესობათა და პირისპირებას და ამავე დროს ყველაზედ უფრო ძნელია მისი დამარცხება, რადგან ყველაზედ ნაკლებად იბრძვის იგი.

ეს საშუალო ელემენტები, აპოლიტიკური და პასიური უპარტიონი კერძოდ და საშუალო კლასები და საშუალო ხაზის პოლიტიკური პარტიები საერთოდ არიან სოციალური სტატიკის დამამყარებელნი. რევოლიუციის პროცესში ყველაზედ უდიდესი მტერი მებრძოლი ძალებისა ეს საშუალო ელემენტებია. ამის ფიგურალური ილიუსტრაციაა მთელი მეორე ინტერნაციონალი და კერძოდ გერმანეთის სოციალ დემოკრატია, რომელიც გაცილებით მეტად აფერხებს და ვნებს რევოლიუციას, ვიდრე შავი რეაქციის ბანაკი და ფაშისტური მოძრაობა.

**ამიტომ გენერალური ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ აპოლიტიზმისა და პასიობის წინააღმდეგ. როდესაც პოლიტიკური პარტია ან ერთიანდება მონათესავე პარტიასთან, ან იშლება, ან მასში ხდება განხეთქილება, იქმნება პარტიის ერთ ნაწილში პასივიზმი და აპოლიტიზმი. დღესაც ასეთ მოვლენას მცირე მაშტაბით მაინც ადგილი ექნება ჩვენს რიგებში. ეს მეტად სამწუხარო და სავალალოა.**

რასაკვირველია ჩვენთან არც ერთი რეაქციონერი, არც ერთი მემარჯვენე არ არის და ვერც იქნებოდა. მით უფრო სამწუხაროა, რომ შეგნებითა და სულისკვეთებით მემარცხენე, რევოლიუციონერი განდგეს, გაჩერდეს და აპოლიტიზმს მიეცეს.

მეტად ცხარეთ ვიცავდი პარტიის არსებობას მანამ, სანამ პარტიის უმრავლესობის აზრი და შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა არ მოითხოვდა პარტიისაგან სხვა ნაბიჯს, ნაბიჯს კომპარტიასთან გაერთიანებისას, მაგრამ როდესაც საკითხი ისმის ან კომინტერნთან ან და აპოლიტიზმი—მე კატეგორიულ ფორმებში მინდა უთხრა ამხანაგებს **—ჩვენ უნდა ვიყოთ კომინტერნთან, ჩვენ ამისათვის უნდა დავთმოთ ბევრი პიროვნული დაბრკოლება,** თვით ჩვენი თეორეტიული აზრთა სხვაობაც არ უნდა წამოვაყენოთ წინ, უნდა დავემორჩილოთ კომპარტიის რკინის დისციპლინას.

**პოლიტიკური ბრძოლა, რევოლიუციონური თავდადება, დიდი მიზნებისათვის ერთად მუშაობა მოითხოვს პირდაპირობას, ადამიანურ სიფაქიზეს, მაღალ ზნეობას და ამიტომ მე ვამბობ—ბოლშევიკური მარქსიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა მთელი გარდამალი პერიოდის სივრცეზედ ისაღებია, კომუნისტური ერთ და ერთი რევოლიუციონური ორგანიზაციაა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ამიტომ საჭიროა მუშაობა მათთან ორგანიზაციულადაც კი.** ამ საქმისათვის საჭიროა დიდი კომპრომისებიც, თეორეტიულ სხვაობის შესახებ. დავის შეჩერება და მთელი ჩვენი ძალების აქტიური რევოლიუციონური შემოქმედების ფერხულში ჩაბმა.

შეიძლება ბევრში ვცდებოდეთ, შეიძლება ცუდი მუშაკები ვიყოთ, მაგრამ მიუდგომელი ისტორია ერთს მაინც აღნიშნავს—ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით რევოლიუციის მიზნებისათვის, ამაში ვხედავდით და ვხედავთ ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხის ხსნას. ამ დიდ ისტორიულ ბრძოლაში ან გავიმარჯვებთ, ან და შავი რეაქციის ქარცეცხლი გადაბუგავს ჩვენს არსებობას, რომ ისტორიაში შეიტანოს კიდევ ერთი ფურცელი პარიზის კომუნის დამარცხების მსგავსი მოვლენისა.

**ხერ. ამაღლობელი.**

---

**ბა, შეუძლებელია პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანება, შეუძლებელია ამ ერების საერთო მიზნებისათვის დამშვიდებული და შეგნებული თანამშრომლობა“.**

აი, მარქსისა და ენგელსის მიერ წამოყენებულ დებულებებს დაეყრდნო ამხ. ლენინი და გარკვეული ეროვნული პოლიტიკა შეიმუშავა.

თანამედროვე ობიექტიურ პირობებში მთელი პროგრამა ლენინიზმის სკოლისა სავსებით მისაღები და სწორია.

კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის პერიოდში შეუძლებელი ხდება ჩამორჩენილი და განუვითარებელი ერების თავისუფლება. კომუნისტური რევოლიუცია არღვევს იმპერიალიზმის საფუძვლებსა და ქმნის თავისუფლებას ყოველი ერისათვის. მეორეს მხრით ეროვნული პროგრამა **გარდამავალი პერიოდის** შესახებ გარკვევით გამოისახება ფედერალიზმის, ერთა კავშირების შექმნისა და ეროვნული სახელმწიფოების შექმნაში. რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ასეული ერი ცხოვრობდა, რომელთა ადაშენებისა და გადაგვარებისაკენ იყო მიმართული ცარიზმის პოლიტიკა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ამ ერებს შეუქმნა „ნაციონალური კერა“, ანუმტკიცა ეროვნული კულტურა და სახელმწიფოებრივობა, დღეს რუსეთი ის რუსეთი კი არ არის, რომელიც ამ ათიოდე წლის წინედ იყო, არამედ ფედერაცია წვრილ ეროვნულ ერთეულების; **ეროვნული თავისუფლება შეიქმნა ბოლშევიზმის პოლიტიკის მთავარი საფუძვლები და ამ საფუძველზე აგო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირი.**

ბოლშევიზმი ინტერნაციონალური მოძღვრება არის და იგი ვერ შემოიზღუდება რომელიმე ერის ფარგლებით. ამ ინტერნაციონალური გზით ეს მოძღვრება თან და თან მივიდა ეროვნულ ფაქტორის აღიარებამდე პრაქტიკულად. ვერც ერთს პოლიტიკურ პარტიას, არც ერთ ხელისუფლებას ისეთი სწორი და გარკვეული გეგმა არ უწარმოებია პრაქტიკულად ერების განთავისუფლების საქმეში, როგორც ეს შესძლო კომპარტიამ.

ჩვენ ძლიერ ბევრს ვლაპარაკობდით ჩვენი პროგრამის სისწორეზე. მაგრამ ეს შეეხებოდა თეორიას, პრაქტიკულად ეს პროგრამა დღეს უკვე ტარდება ცხოვრებაში ბოლშევიზმის ხელებითა და მისი ენერგიული მუშაობით.

მთელი რიგი კომპარტიის ყრილობებისა ხდება ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და გამორკვევის საგნად. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესო და ძვირფასია მე-XII-ე ყრილობა და ივლისის თათბირი—ცეკა რ. კომპარტიისა ნაციონალურ დარგში მომუშავე ამხანაგებთან ერთად. პირველი ყრილობა წინ უსწრებდა მეორეს და მან უმთავრესად პოლიტიკური გეზი გამოიმუშავა ეროვნულ საკითხში; თათბირმა უმთავრესად ყურადღება მიაქცია ამ პოლიტიკურ გეზის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების საკითხს, რეალურად განადგურების საქმეს. ორივე ეს ყრილობა მეტის მეტად ძვირფასი მოვლენა არის ეროვნული საკითხის სწორი გზით გადაწყვეტის საქმეში.

**ამ მიმოხილვიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნული საკითხი კომუნისტებისათვის არ არის უბრალო ტაქტიკის საკითხი, არამედ უეჭველად პროგრამული ხასიათისა და პრინციპიალური საკითხია.**

ვინც დღეს ბოლშევიზმის შესახებ ეროვნულ საკითხში ძველი შეხედულებით დაიწყებს მსჯელობას, იგი დაამტკიცებს მხოლოდ თავის ჩამორჩენილობა და უსუსურობას.

ლენინიზმის სკოლის წარმოშობით ეროვნულმა საკითხმა მეტად დიდი პროგრესი განიცადა მარქსისტთა ოჯახში და ჩვენც „მეოთხე თათბირის“ წევრებთან ერთად მათივე სიტყვებით შეგვიძლია ჰივმართოთ რევოლიუციის დიდ სარდალს,—ამხ. ლენინს:

«Собравшееся на совещении представители коммунистов, работающих на окраинах, приветствуют вас не только как нашего общаго вождя в борьбе за коммунизм, но и как товарища, когорый опираясь на указания Маркса, впервые в истории рабочего движения разработал пролетарской точки зрения проблему национальнаго освобождения и указал истинные методы сочетания националькой и пролетарской борьбы против мирового империализма.

**Левинизм в национальном вопросе представляет обоснованную и глубоко революционную систему политики и тактики, которой мы будем следовать в нашей практической работе»** (იხ. „Четвертое совещание Ц. К. Р. К. П. გვ. 238).

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ყრილობა ყოველივე ზემოდ ნათქვამს მხედველობაში მიიღებს და ასეთივე სიტყვებით მიმართავს მთელს კომუნისტურ პარტიას.

**ს. ხ.**

---

# [illegible]-დეპეშები

**(„ზაკროსტას“ ცნობები 6 ნოემბრიდან.)**

**— 7 ნოემბერს დანიშნულია ბავარიის ფაშისტების ბერლინის წინააღმდეგ გამოვლა.**

**— რეაქციონერთა შორის უთანხმოებაა.**

**— სეპარატისტები კვლავ გამოდევნეს აახენიდანა და კრეფელდიდან.**

**— სამშაბათს ბერლინში მოწვეულია რეინის ლანდტაგის სხდომა.**

**— გერმანეთში მდგომარეობა ისევ გამოურკვეველი რჩება.**

## გერმანეთის ამბები.

გაზეთ „მონტაგ მორგენი“-ს ცნობით, ბავარიის ყველა სტუდენტთა კორპორაციები გაემგზავრნენ გამოურკვეველ მიმართულებით. ფაშისტური „ახალგაზრდა გერმანელთა ორდენმა“ და ფაშისტურმა ორგანიზაციამ, „ფოლადის ჩაფხუტი“ მიიღეს ბრძანება მობილიზაციის შესახებ. მეკლენბურგში თავს იყრიან ფაშისტური შეიარაღებული რაზმები. პომერანიის ნაციონალური კავშირი კარისთან შეთანხმებულია. კობურგში „ახალგაზრდა გერმანელთა ორდენმა“ კარის საპატივცემო მანიფესტაცია გამართა და დეპეშა გაუგზავნა, სადაც სთხოვს მას მალე გალაშქრებას. კობურგის ერც-ჰერცოგმა „ახალ-

გაზრდა გერმანელთა ორდენის“ კრებაზედ განაცხადა, რომ გასალაშქრებლად მზადება ჯერ დამთავრებული არ არისო და, რომ გამოსვლის დღედ დანიშნულია 7 ნოემბერი.

ფაშისტების მზადების გამო „მონტაგ მორგენი“ სწერს: „დღეგამ 12 საათიჰბავარიისა, პომერანიასა, მეკლენბურგისა, აღმოსავლეთ-პრუსიისა და სილეზიის ფაშისტები ბერლინზედ გასალაშქრებლად ემზადებიან. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან და მთელ რესპუბლიკის მცხოვრებთაგან დაუყოვნებლივ ზომების მიღებას მოახლოვებულ რეაქციის მოსაგერიებლად“.

ბერლინში შესდგა სოც.-დემ., დემოკრატიულ და კათოლიკურ ახალგაზრდათა კავშირების გაერთიანება. გაერთიანების პლატფორმა რესპუბლიკის დაცვაა. გაერთიანებულ კომიტეტის მიერ გამართულ კრებაზედ შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ზოლმანმა განაცხადა: „ყველაზედ საშიში ჩვენი მტერი არის—გერმანეთის მთავრობის გაუბედაობა. მე დავკარგე რწმენა გერმანეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელთა უნარიანობისა. რესპუბლიკა დაიღუპება მხოლოდ ხელმძღვანელთა გაუბედაობის გამო. საკმარისია 50.000 შეიარაღებული რესპუბლიკანელი, რომ რამდენიმე წამში გაიფანტოს ტიურინგიის საზღვარზედ მოგროვილი ფაშისტური რაზმები.

პომერანიის სხვილ მიწადმფლობელმა კარს გაუგზავნეს დელეგაცია საერთო გამოსვლის საკითხზე მოსალაპარაკებლად.

ბავარიის ფაშისტთა რაზმების სამხედრო მზადების გამო, ჩრდილოეთ ბავარიაში მდგომარეობა მეტად გამწვავდა. „ფოსიშე ცაიტუნგი“ აღნიშნავს რომ არავის შეუძლიან გაითვალისწინოს, თუ რა მოხდება 24 საათის შემდეგ. „ბერლინერ ტაგებლატი“ მოითხოვს რეიხსვერის სანაპირო ნაწილების გაძლიერებას და წინადადებას იძლევა, მოწოდებით მიჰმართონ კონსტიტუციის ერგულ მოქალაქეთ დაეხმარნენ ჯარს დამხმარე პოლიციის შედგენით.

ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საკითხში რეაქციონერთა შორის ემჩნევა უთანხმოება. სხვილი მრეწველები და ნაციონალურ პარტიის ზომიერი ფრთა ემხრობიან მემარჯვენე კაბინეთის შედგენას, რომელმაც უნდა დაითხოვოს რეიხსტაგი და ახალი არჩევნები დანიშნოს.

ტევტონთა პარტია და გიტლერის კავშირები მომენტს შესაფერისად სთვლიან პირდაპირი გამოსვლისათვის და აპირობენ მომენტი გამოიყენონ ბერლინში მემარჯვენე ტიქტატურის დასამყარებლად.

ბავარიის მთავრობასა და ბავარიის სახალხო პარტიას კი საჭიროდ მიაჩნიათ მოუცადონ ბერლინის ამბების გახვითარებას.

ინგლისის ზედგავლენით ბელგიის სარდლობამ შესწყვიტა სეპარატისტებისათვის დახმარების აღმოჩენა. სეპარატისტები კვლავ განდევნეს აახენიდანა და კრეფელდიდან.

სამშაბათს ბარმენში მოწვეულია რეინის პროვინციის ლანდტაგის სხდომა.

საქსონიის კაბინეთის მდგომარეობა ვერ არის მტკიცე. გაფიცვების შეწყვეტის შემდეგ მწარმოებელნი შეტევას აწარმოებენ მთელს ხაზზედ: ითხოვენ მუშებს და ამცირებენ წარმოებას. რეიხსვერის ნაწილები იჭერენ სამრეწველო ცენტრებს და განგებ იწვევენ შეტაკებას. ხდება მასიური დაპატიმრებანი. მემარჯვენე პრესა აწარმოებს ფელიშის საწინააღმდეგო კამპანიას და მოითხოვს ლანდტაგის დათხოვნას, რომელიც უნდა შეიკრიბოს სამშაბათს სახალხო პარტიის მიერ შეტანილ წინადადების განსახილველად, ლანდტაგის დაშლის შესახებ.

შტრეზემანს ჯერ კიდევ აქვს იმედი ბავარიასთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისა, კომპრომისის საშუალებით. მოითხოვს რა ლოსოვის გადაყენებას, შტრეზემანი თანახმაა გააფართოვოს ბავარიის ავტონომია. ბავარიის ნაციონალისტები და ტევტონთა პარტია მოუწოდებენ კარს შეინარჩუნოს სიმტკიცე, არ წავიდეს დათმობებზედ და პირიქით ეცადოს, გადააყენოს ებერტი და შტრეზემანი.

გერმანეთში მდგომარეობა გამოურკვეველი რჩება. მთავრობა არა სრულის შემადგენლობით მუშაობს და სცდილობს პოპულიარულის ზომებით გაამაგროს მდგომარეობა, როგორც არის: ახალი, უზრუნველყოფილი ფულის ნიშნების გამოშვება 300 მილ. ოქროს მარკისა, რძის ნაწარმოებზე და ნახშირზე ფასების დაწევა 20—30 პროც. და სხვ. შტრეზემანის გეგმა არის: შეავსოს კაბინეთი საქმის ხალხით და დაეყრდნოს მცირე კოალიციას, რომელიც შესდგება სახალხო პარტიისა, დემოკრატებისა და ცენტრისაგან—ნაციონალისტებს გარეშე. შტრეზემანს იმედი აქვს აგრეთვე სოც.-დემ. ჩუმის ნეიტრალიტეტით. ჯერ-ჯერობით ეს პლანი ვერ ხერხდება, რადგანაც ებერტი არ სთანხმდება რეიხსტაგის დათხოვნაზე.

სოც.-დემ. ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ სოც.-დემ. იძულებული იყვნენ გამოსულიყვნენ მთავრობიდან, რადგანაც არ ეთანხმებოდნენ საქსონიასა და ბავარიასთან დამოკიდებულების პოლიტიკას. სოც. დემ. ხაზს უსვამს, რომ ისინი წინააღმდეგობას გაუწევენ ყოველგვარ ცდას დიქტატურის დასამყარებლად, ამტყუნებენ კომუნისტებს და წინააღმდეგი არიან კომუნისტებთან შეთანხმებული გამოსვლებისა შემდეგში.

„ფორვერტსი“ და „ვოლფის“ სააგენტო უარჰყოფენ ცნობას ბავარიის ულტიმატუმის შესახებ, თუმცა აღნიშნავს, რომ ფაშისტური მებრძოლი რაზმები იმუქრებიან ბერლინზედ გალაშქრებით.

ტიურინგიის საზღვარზედ გაიგზავნა რეიხსვერის ნაწილები, გიტლერის რაზმებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

## პრესის მიმოხილვა

**„სოციალ დემოკრატიული სტრატეგები“.**

მოსკოვის გაზ. პრავდა ზემოხსენებულის სათაურით სწერს:

„გერმანეთში დადგა მთავრობის მორიგი კრიზისი. სოც.-დემ. გამოვიდნენ დიდი კოალიციის მთავრობიდან. იმის შემდეგ, რაც სოც.-დემ. კონტრრევოლიუციონერები დაეხმარნენ ჰამბურგის მუშათა-აჯანყების ჩაქრობაში, იმის შემდეგ, რაც ჩამოაგდეს საქსონიის მთავრობა, იმის შემდეგ რაც შეასრულეს მათ თავიანთი უტიფარი მენშევიკური საქმე,—ყოველივე ამის შემდეგ, ისინი მიდიან მთავრობიდან.

სოც.-დემოკრატი პოლიტიკოსები—გამოწრთობილი პოლიტიკური „შარლატანები“ არიან. მათ იციან, რასაც აკეთებენ, და განაგრძობენ იმავე მოტყუებისა და დაცინვის ტაქტიკას, რომელსაც მისდევდნენ უკანასკნელ დროს. ფაშისტურ შტაბსა და ბ. ბ. სტინესებს შეუძლოთ სოც.-დემოკრატების გაანდევნა: სოც.-დემ. გააკეთეს თავისი საქმე და ახლა ისინი საჭირონი აღარ არიან. თვით სოც.-დემ. მხრივ ეს გამოსვლა სხვა ნაირად აიხსნება: სოც.-დემ. იციან, რომ მათ მოელით ფაშისტურ მათრახის ზედგავლენის საგნად გახდომა და ჰსურთ ცოტაოდნად მაინც შეინარჩუნოს მასსაში დასაყრდნობი ძალა. ამისათვის კი საჭირო ოპოზიციონობა. ამისათვის სოც.-დემოკრატები მზად არიან დემოკრატიული პარტიის როლი ითამაშონ.

საჭიროა ნათლად ვხედავდეთ მენშევიკურ, უტიფრების ამ უსირცხვილო თამაშს. კომპარტია ვალდებულია შესწყვიტოს ყოველგვარი ლაპარაკი მემარჯვენე სოც.-დემოკრატებთან და მათს მემარცხენე ფრთას პირდაპირ დაუყენოს საკითხი მემარჯვენე ფრთასთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტისა.

გერმანეთის შინაური მდგომარეობა არა მშვიდდება. ბავარიის ყაჩაღები უკვე ულტიმატუმებს ურდგენენ საიმპერიო მთავრობას. მთელს სახელმწიფოში იზრდება რღვევა, რომელიც ნიადაგს აცლის ყოველგვარ ბურჟუაზიულ მთავრობას. ნიუიორკის დოლარი უკვე 1—ნახ. ტრილიონი მარკა ღირს, ხოლო მოსკოვის შავი ბირჟა მარკას არაფრად სთვლის.

გერმანეთში რღვევაა სახელმწიფოსი, რღვევაა სახელმწიფოებრივ აპარატისა, ბაზრისა და სახელმწიფოს ფინანსებისა.

კომპარტიის მორიგი ამოცანაა—რაც შეიძლება ჩქარა გამოააშკარაოს მემარცხენე სოც.-დემ. ტაქტიკა და ააცილოს მუშებს თავიდან მათი გავლენა.

მოახლოვებული ვილჰელმის სამხედრო მთავრობა ვერ მოუვლის ვერც შინაურ და ვერც საგარეო პრობლემებს. ის უნდა დაეცეს მუშათა მასების შეტევისაგან“.

## ახალი ამბები

— **დღისით გამართულ საბავშო წარმოდგენების განთავისუფლება ბილეთებზე პროცენტულ გადასახადისაგან.** თანახმად განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობისა, ტფ. აღმასკომმა დღისით გამართული საბავშო წარმოდგენები განთავისუფლა ბილეთებზე დაწესებულ პროცენტულ გადასახადისაგან.

— **ქოხ-სამკითხველოების რიცხვის გადიდება ტფ. მაზრაში.** ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პოლიტ განათლების განყოფილებას ტფ. მაზრაში ქოხ სამკითხველოების რიცხვი აიყვანოს 50 დან 70-მდი.

— **7 ნოემბრის დღესასწაულისათვის ილუმინაციის მოსაწყობად** ქ. აღმასკომმა გადასდო 362 მან. ჩერვონეცებით.

— **სტუდენტების აღწერა.** პროფ-კავშირთა საბჭოს დადგენილების თანახმად 9 ნოემბერს პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს ტფილისის კომიტეტი შეუდგება ყველა უმაღლეს სასწავლებლების, კონსერვატორიების, სამხატვრო აკადემიის და უმფაკელების სტუდენტების საერთო აღწერას ის სტუდენტები, რომლებიც აღიწერებიან უნდა წარმოადგინონ განსაკუთრებულ კომისიაში სტუდენტობის მოწმობა, ჩასარიცხი წიგნაკი, თუ პროფ-კავშირის წევრია სათანადო მანდატი ან შრომის ბირჟის მოწმობა, წითელ-არმიელ სტუდენტები კი წარმოადგენენ სათანადო მოწმობას თავიანთ ნაწილიდგან.

— **ინსტრუქცია სტუდენტების აღმწერლებს.** პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრ. ბიუროს ტფილისის განყოფილება ამით აცხადებს, რომ სტუდენტთა ცენტრ. აღწერაში მონაწილე ამხ. გადამწერლები ვალდებული არიან გამოცხადდენ გან. სახ. კომისარიატში, ოთახი № 13 ლორის-მელიქოვის № 5, ხუთშაბათს 8 ნოემბერს, 10 საათზე.

— **კოოპერატიულ მართველობის შემადგენლობა.** უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერატიულ სამმართველოს შემადგენლობაში შევიდნენ: ამხ. ქორქიკაშვილი (თავმჯდომარეთ). ვ. კარდელაკი (წევრათ). დუმბაძე წარმოკავშირიდან, ვაშაძე ფინსახკომიდან და ტოროშელიძე ცეკავშირიდან.

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლა ოზურგეთის სანერგესთან.** უმაღლ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა გახსნას ოზურგეთის სანერგესთან სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული სკოლა 2 წლის კურსით.

— **შრომის ბირჟა.** 5 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—362—უმუშევარი ახლად ჩაეწერა—67—უმუშ. გაიგზავნა სამუშაოზე—30—უმუშევარი.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევართა დაზღვევის განყოფილებამ ამით აცხადებს დაზღვეულ უმუშევართა საყურადღებოთ, რომ დახმარების გაცემა დაიწყება 9 ნოემბერს შემდეგ სექციებში: აღმშენებლობის, ხელზე—მოსამსახურეთა და სახალხო კავშირისა.

— **ბირჟაში ჩაწერის შეწყვეტა.** 6 ნოემბრიდან შრომის ბირჟაში შეწყვეტილია ჩაწერვა იმ უმუშევრებისა, რომელნიც ჩამოსულნი არიან და კავშირის წევრად არ ითვლებიან.

— **ცეცხლი.** 4 ნოემბერს საღამოს 9 საათზე დიდი ვანქის ქ. № 12-ში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლის მქრობელის რაზმის საშუალებით იქნა ჩაქრობილი.

— **ქურდობა** 2 ნოემბერს გაქურდული იქნა მოქ. არტაშ მარტოზოვის ფეხსაცმელების სავაჭრო, მდებარე 19 თებერვლის ქ. № 85, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა საქონელი ღირებული 2 მილიარდ მან.

— **საწყობის გაქურდვა.** 4 ნოემბერს გაქურდული იქნა მოქ. არაქელა საინოვის პურის საწყობი, საიდგანაც წაღებულია რამოდენიმე ფუთი პური.

— **საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილება.** თანახმად სრულიად საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებისა, რომელიც მიღებულ იქმნა ამა 1923 წლის 21 სექტემბერს, შემოღებულ იქმნეს საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიაში ახალი სტილის კალენდარი 1923 წლის 1—ნოემბრიდან: ძველი სტილის კალენდრის 19 ოქტომბერი ჩაითვალოს 1 ნოემბრად ახალი სტილით. დღესასწაულები, წმიდათა ხსენებანი და მარხვანი ამა წლის 1 ნოემბრიდან დაწესებულია ახალი სტილის კალენდრის თანახმად. 1923 წლის შობის მარხვა იქნება 15 ნოემბერს, შობა უფლისა იდღესასწაულება 25 დეკემბერს, 1924 წლის ახალი წელიწადი 1 იანვარს, ნათლისღება 6 იანვარს, აღდგომა ქრისტესი 20 აპრილს. ყოველივე ესე ახალი სტილით. კვირიაკეთა და ხმათა მიმდინარეობა გაგრძელდეს ისე როგორც დღემდე: 4 ნოემბერს იქნება კვირიაკე 23 ხმა 6. ამა მიმდინარე წლის 28 ნოემბრამდე (ახალი სტილით) ნებადართულია ჯვრის წერა.

— **ადმინისტრატიული სასჯელი.** ტფილისის მილიციის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის მეეტლე კალმიკოვს, აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, მიესაჯა ერთი თვით დაპატიმრება.

— **სამარცხვინო საქციელი.** ტფ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტმა ლეონ გრიგორიანცმა შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე, რათა მას დაუბრუნონ მილიციის მიერ ჩამორთმეული 27 ნახევარი ოსმალური ლირა, აღმასკომმა ლირების დაბრუნების შესახებ უარი უთხრა და მისი შავ ბირჟაზე ვალუტით სპეკულიაციის შესახებ აცნობა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა საბჭოს.

— **ავლაბრის მუშათა კლუბის მოწყობა.** ქ. აღმასკომმა, ს. პ. კ. საბჭოს მოძართვის თანახმად, ავლაბრის მუშათა კლუბის მოწყობის ხარჯთ-აღრიცხვის შემდგენს კომისიაში თავის მხრივ დანიშნა ამხ. ასრიევი.

— **შრომის კანონების დარღვევისათვის.** ქუთაისის შრომის დაცვის განყოფილებამ სექტემბრის განმავლობაში პასუხისგებაში მისცა 6 ვაჭარი შრომის კანონების დარღვევისათვის.

— **ბინის გაქურდვა.** 4 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, გაქურდული იქმნა მოქ. პავლე გიუნელის ბინა, ვერის დაღმართზე № 15-ში, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 10 მილიარდ მანეთისა.

— **ვალიუტის კურსი.**

2 სექტემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | | 97.000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | | 89,000 „ |
| | ჩეკი. | 85,500 „ |
| დოლარი ეფექ. | | 21,400 „ |
| | ჩეკი. | 20,000 „ |
| ოსმალური ლირა | | 11,000 „ |
| საბჭოთა ფული | | 13,500 „ |

## ქრონიკა

— **ოქტომბრის დღესასწაული 7 ნოემბერს** ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად ყველა თეატრებში გაიმართება სადღესასწაულო რევოლიუციონური წარმოდგენები მუშებისათვის და წითელ-არმიელებისათვის.

— **სახალხო სახლი.** 7 ნოემბერს სახალხო სახლში წარმოდგენილი იქმნება პოტაპენკოს პიესა „ანათორა“.

**ლადო მარჯანიშვილის სამადლობელი საღამო.** შაბათს, ნოემბრის 10, ქ. ფოთში იმართება ამავე ქალაქის სათეატრო ხელოვნების სულის ჩამდგმელის ლადო მარჯანიშვილის სამადლობელო საღამო, მის 30 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად.

საღამოს პროგრამის ასრულებაში მონაწილეობს იუბილიარის ძმა რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

დაწვრილებითი ცნობები შემდეგ.

## მუშათა ცხოვრება

**მუშტაიდის სამკითხველო**

უფასო სამკითხველო მუშათა უბანში ფრიად მესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს. აქ არის მრავალი სამეცნიერო სალიტერატურო წიგნები, ჟურნალები და გაზეთები.

მხოლოდ აქ არ მოიპოვება ისეთი გამოცემანი, რომელიც შეძლებას მისცემდა მკითხველს ფართე წარმოდგენა ჰქონოდა იმ გადაფასების პროცესზედ. რომელსაც აწარმოებს მენშევიკური პარტია და მეორეს მგრივ კი გაცნობდა იმ გზას, რომელსაც დაადგა მემარც. ს.-ფედერალისტთა პარტია. (მხედველობაში მაქვს გაზ. „ტრიბუნა“ და ჟურნალი „მოამბე“).

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

ფ.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ნოემბრის 1-დან ეღირება:
პროფკავშირთა წევრებისათვის
თვიურად . . . . . . . 7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო
პირთათვის . . . . . 9 000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 500.000 „

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გ. მუშიშვილი
სახელმწიფოებრივი
კაპიტალიზმი
მოკლე ხანში გამოვა.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 795 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.